

შპს ალექსანდრეული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შენიშვნა 1-ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალექსანდრეული“ შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 28/07/1998 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 222938070, იურიდიული მისამართი: საქართველო, ამბროლაურის რაიონი, სოფ. ბუგეული. წესდების მიხედვით, საზოგადოების საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს ღვინის წარმოება და რეალიზაცია

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისთვის კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ვიქტორ მეტრეველი/01018000556	0.06%
ზვიად გონაძე 01009003704	5%
გოჩა მაცაბერიძე 01019001595	94.94%

შენიშვნა 2-მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ლარში მსს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული შეფასებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ლარამდე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

შენიშვნა 3-მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები. ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულება ჩამოიწერება. დ. ს. საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო, რათა გადამოწმდეს, ხომარ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამისი პერიოდის ხარჯებში. გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია დ. ს. სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე:

შენობები	3.00%
კომპ. ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	7.00%
მანქანა-დანადგარები	10.00%
სატრანსპორტო საშუალებები	5.00%

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და მოსალოდნელის შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ასევე, თუ შესაძლებელია დანახარჯების შეფასება.

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებს.

კომპანია მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში, სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

აგრო სესხის გადასახდელი პროცენტები თანადაფინანსებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. დამფუძნებლისგან მიღებულია სესხები წლიური საბაზრო პროცენტებით როგორც უცხოურ ვალუტაში, ასევე ლარში.

მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. სავაჭრო მოთხოვნა თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდგომ აღიარდება საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

ხელფასები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შენიშვნა 4-ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანიას პროგნოზირებად მომავალში არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითად შემცირების სურვილი

შენიშვნა 5-ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი გარემოებები

2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

შპს ალექსანდრეული

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:




დ. მაცაბერიძე

ი. მანჯგალაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	869009	694561
საქონლის გაყიდვიდან	851998	693290
მომსახურების გაწვიდან	17011	1271
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-514595	-409019
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	354414	285542
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	169525
დასაქმებულთა ანაზღაურება	-227262	-151531
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-226036	-216787
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-622814	-441030
იჯარის ხარჯი	-1589	-12050
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-158686	-256477
სულ საოპერაციო ხარჯები	-1236387	-908350
საოპერაციო მოგება	-881973	-622808
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	-54936
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სა:	557205	-846225
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	35026	-4375
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი	-289742	-1528344
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი *	-289742	-1528344
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასე	0	-15898
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	-15898
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-289742	-1544242
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-2108864	-1464622
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპე	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	900000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2398606	-2108864

შპს ალექსანდრეული

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



დ. მაცაბერიძე

ი. მანჯგალაძე

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	52904	3582	28502
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2183951	2234294	1992725
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	125724	102353	132367
მარაგები	1426226	1781941	1520289
მზა პროდუქცია	1426226	1781941	1520289
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11035	25205	40149
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	3910	4838	6027
ძირითადი საშუალებები	3213923	3406234	3527399
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	7017673	7558447	7247458

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	29232	30754	0
სავაჭრო ვალდებულებები	628177	640730	1316863
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	267	2257	4271
საგადასახადო ვალდებულებები	19013	20888	5723
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	513991	439507	313377
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8209552	8463536	6781454
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	16047	69639	290392
სულ ვალდებულებები	9416279	9667311	8712080

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	2833000	2833000	1933000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-6201929	-5912187	-4383843
გადაფასების რეზერვი	970323	970323	986221
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-2398606	-2108864	-1464622
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7017673	7558447	7247458
სულ მოკლევადიანი აქტივები	3799840	4147375	3714032
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

შპს ალექსანდრეული

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



დ. მაცაბერიძე

ი. მანჯგალაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	49322	-24920
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	49322	-24920
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და წარმოქმნილი	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდში	3582	28502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	52904	3582

შპს ალექსანდრეული

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



დ. მაცაბერიძე

ი. მანჯგალაძე